საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვადაჭკორია ბადრი ნიკოლოზის ძე

ბ. ვადაჭკორია

ვადაჭკორია ბადრი ნიკოლოზის ძე (დ. 29. V. 1947, ლანჩხუთი), ჟურნალისტი, ფოტოკორესპონდენტი. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2003), დამს. ჟურნალისტი (2019); დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1977). მუშაობდა საქტელერადიოკომიტეტში სპეც. კორესპონდენტად (1971-იდან). იყო საქტელერადიოკორპორაციისა და „ახალი ქართული გაზეთის” საკუთარი კორესპონდენტი ცენტრ. და აღმ. ევრ. ქვეყნებში (1998–2002). გაზეთების „ნატვრისთვალის”, „ახალგაზრდა კომუნისტის” სპეც. კორესპონდენტი. 1994–98 მოღვაწეობდა დიპლომატიურ სამსახურში. არის საერთაშ. ფოტოკონკურსების მონაწილე და ლაურეატი: საქართვ. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (ფედერაცია) წევრი (1982), ჟურნალისტთა საერთაშ. ორგანიზაციის წევრი (1993) და ჟურნალისტთა ფედერ. პრიზის „ოქროს ფრთის” ლაურეატი (2005). მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და პრემია, მ. შ.: ,,თბილისზე მზრუნველის" საპატიო წოდება (2017); ალ. როინაშვილის სახ. საპატიო დიპლომი (2018); წმ.ილია მართლის (ჭავჭავაძე) გაზეთ ,,ივერიის" სახ. პროზა-პოეზიის საერთაშ. პრემია (2014,2022). არის მექსიკის ხელოვნების საერთაშ. ფესტივალის FINI მონაწილე და გამარჯვებული (2021).

მისი ნამუშევრებია: ფოტოალბომი „ქართული სული” (2007, I ტ.), პროექტი ,,ჩემი საქართველო", გამომცემლობა ,,პალიტრა L"-თან ერთად (2015-2023, 1-14 ტ.), ,,საქართველო და რეგიონები" (2023).